№ 126

ფასი 1 მან.

წელიწადი მეორე — წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე — ყოველდღიური გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 12 ივნისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

---

### გამოვიდა და იყიდება

## გალაკტიონ ტაბიძის

## ლექსების მეორე ტომი

ჯერ-ჯერობით იყიდება: სასახლეში, კვესტორაში, გაზ. „ერთობის“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში.

---

### ქართველთა სამუსიკო და სამკვედმოქმედო საზოგადოებანი

კონსერვატორიაში

პარასკევს, 13 თიბათვეს, მესამედ გაიმართება

## სასულიერო კონცერტი ახალი ლიტურღია

1034 მუსიკა დ. არაყიშვილისა. 2—2

---

## ტფილისის

### სასტუმროების, სასადილოების, რესტორანების,

მოწყობილი ოთახების და სხვათა ურთიერთ დამხმარებელის საზოგ. გამგეობა

ამით აუწყებს წევრთა ამა საზოგადოებისა, რომ საგანგებო კრება არის დანიშნული ახალი კლუბის დარბაზში, სასახლის ქუჩაზე, თხუთმეტს ამა ივნისს დილის თერთმეტ საათზე. კრება იგი კანონიერი არის და შესდგება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს. განსახილველი საგნები: 1) საქციზო გადასახადი. 2) სხვა და სხვა მიმდინარე საქმეები. 3) დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრთა.

გამგეობის თავმჯდომარე დ. მაჭავარიანი.

754 1—1 მდივანი გამგეობის ი. რაზმაძე.

---

დღეს, 12 თიბათვეს, შუადღის 12 საათზე,

## ტფილისის მაზრის ერობის ბინაზე

(რუსთაველის პრ., № 6)

### გაიხსნება საქართველოს რესპ. ერობების ექიმთა ყრილობა.

ვთხოვთ ქ. ტფილისში მცხოვრებ ს. ს. დარგის ყველა მუშაკ ექიმებს, ფარმაცევტებს, ფერშლებს და სხვათ მიბრძანდენ ყრილობის გახსნაზე და შემდეგ მის სხდომებს დაესწრონ, რათა შეერთებული აზროვნებით და ძალით შევიმუშაოთ მომავლის ის საჭირო წესრიგი, რომლითაც ჩვენს დაავადებულ ხალხს ჯანმრთელობის გზაზე დავაყენებთ. 1036 1—1

---

## სამტრედიის ვაჭართა

### საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წლის 15 ივნისს, დილის 10 საათზე, სამტრედიის საკრებულოს დარბაზში დანიშნულია

## არაჩვეულებრივი წევრთა კრება

შემდეგი საკითხის გასარჩევათ: 1. მოსამსახურეების მოთხოვნილება. თუ ამ დანიშნულ დღეს არ გამოცხადდება წევრთა კანონიერი რიცხვი, მაშინ მეორე კრება შესდგება 22 ივნისს ზემო აღნიშნულ ადგილსა და საათზე; ყოველივე გადაწყვეტილება ამ უკანასკნელ კრებაზე იქნება კანონიერი, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს (წესდ. § 35). 1037 1—1

---

## ტფილის ვაჟთა 1 გიმნაზია

მოუწოდებს მსურველთ იჯარით აიღონ შენობის ასაგებათ მიწის ნაჭერი, რომელიც ძევს გოლოვინის პროსპექტის პირათ. ზომით 348,20 კვ. საჟენი. საჯარო ვაჭრობა მოხდება ვაჟთა 1-ლ გიმნაზიაში 18 ივნისს, დილის 10 საათზე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე 10—12 საათამდე. 766 1—1

---

## კ ა ვ კ ა ს ი ი ს

### საიმპორტო და საექსპორტო აქციონერთა საზოგად. გამგეობა

ამით აცხადებს ბ-ნნ აქციონერთა საყურადღებოდ, რომ საზოგადო კრების ამა წლის აპრილის 16-ს, დადგენილების თანახმად და ფინანსთა მინისტრის ნებადართვით 1919 წლ. მაისის 31, № 269/4832 მოხდება აქციების მეორე გამოცემა 10,000 ცალი. 1,000,000 მან. შემდეგ საფუძველზე: 1) აქციის გამოცემითი ფასი 100 მან.; ამასთანავე თითო პირველ გამოცემის აქციაზე მიეცემათ ერთი ახლად გამოცემის აქცია; 2) ხელის მოწერა შეიძლება ამა თვის 11 ივლისის პირველამდე; ამასთანავე აქციონერები, რომლებიც ხელმოწერილ თანხას შემოიტანენ ვადამდე, სარგებლობენ დისკონტით წლიური 8%-დან; 3) აქციების თანხა უნდა შეტანილ იქნეს საზოგადოების პირობითი მიმდინარე ანგარიშზე ვაჭართა ბანკში № 1175, ან ა. ფიოდოროვის ბანკის კანტორაში, ან საზოგადოების გამგეობაში, „თავისუფლების მოედანი № 3 და 4) დარჩენილი აქციები განაწილდება იმ აქციონერთა შორის, რომლებიც შემოიტანენ განცხადებას, რომ სურთ მონაწილეობა მიიღონ აქციების განაწილებაში. 758 1—1

---

გამოვიდა და იყიდება

სამთო ინჟენერის ი. ა. ყიფშიძის

### Краткія свѣдѣнія о горныхъ богатствахъ ГРУЗІИ.

ფასი ათი მან. საწყობი: სამთო - სამართველო პეტრე დიდის ქუჩა, № 10, ტელეფონი 2—44 და ავტორთან, ელისაბედის ქუჩა, № 98. ტელეფონი 13—51. 742 3—3

---

### ოფიციალური განყოფილება.

#### განკარგულებანი

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.**

№ 56.

29 მაისი, 1919 წ.

**ინიშნება:** ტფილისის გუბერნიის ბატალიონის უფროსის მოვალეობის აღმასრულებელი პოდპოლკოვნიკი იოსებ სტანისლავის ძე სოგორაშვილი იმავე ბატალიონის უფროსად.

**გადაყენებულია თანამდებობიდან:** ტფილისის გუბერნიის ბატალიონის უფროსი პორუჩიკი სოზონისი კონდრატეს ძე ჩაჩიბაია სისხლის სამართლის წესდების 1100 მუხლის ძალით—მისდამი აღძრულ სისხლის სამართლის ბრალდების გამო.

№ 57.

31 მაისი, 1919 წ.

**გადაყენებულია თანამდებობიდან:** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე ნიკოლოზ ჭივანეს ძე ბობოხიძე, სისხლის სამართლის წესდების 1100 მუხლის ძალით მისდამი აღძრულ სისხლის სამართლის ბრალდების გამო.

მინისტრის ამხ. ჭიჭინაძე.

კანცელარიის დირექტორი

ი. აფაქიძე.

**ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა.**

№ 79.

24 მაისი, 1919 წ.

დათხოვნილია სამსახურიდან ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწე სიმონ მიხეილის ძე აბალოვი, სასამართლოს გაერთიანებისა გამო, 1919 წ. 23 მაისიდან სალიკვიდაციო ფულის მიცემით.

№ 80.

დათხოვნილია სამსახურიდან, სამსახურში გამოუცხადებლობისა გამო, ტფილისისის ოლქის სასამართლოს გზირი იოსებ ნატროშვილი 1919 წ. 24 მაისიდან.

№ 81.

დანიშნულია დავით გამრეკელი ტფილისის ოლქის სასამართლოს გზირად 1919 წ. 1-ლ ივნისიდან.

№ 82.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან ლაგოდეხის სავამომძიებლო უბნის საქმის მწარმოებლად [illegible] 1919 წ. 1-ლ მაისიდან.

№ 83.

დანიშნულია სარქის მელქოს ძე ტერ-ყაზაროვი ლაგოდეხის საგამომძიებლო უბნის საქმის მწარმოებლად თარჯიმანად 1919 წ. 1-ს მაისიდან.

№ 84.

დათხოვნილია სამსახურიდან, სასამართლოს გაერთიანებისა გამო, სასამართლოს კანცელარიის მოხელე ანა ნიკოლაევი 1919 წ. 22 მაისიდან სალიკვიდაციო ფულის მიცემით.

სასამართლოს თავმჯდომარე

ვ. კიზირია.

—

ბაღდადის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ამით აცხადებს, რომ შტატს გარეშე დარჩენილი მდივნის თანაშემწე პოლიევქტ. სარდიონის ძე ქაშაკაშვილი 1919 წ. აპრილის 28-ს დადგენილებით დანიშნულია ამავე სასამართლოში თარჯიმნათ 10 აპრილდან.

—

ბაღდადის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ამით აცხადებს, რომ ლევანტი ბიჭიას ძე გეგეშიძე 1919 წ. 28 აპრილის დადგენილებით დანიშნულია ამავე სასამართლოში კანცელარიის მოსამსახურეთ 10 აპრილიდან.

—

ბაღდადის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ამით აცხადებს, რომ მდივნის თანაშემწე ილია ონისიმეს ძე მეფარიძე, 1919 წ. აპრილის 28 ს დადგენილებით დანიშნულია ამავე სასამართლოში მდივნათ 10 აპრილიდან.

—

ბაღდადის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ამით აცხადებს, რომ ონისიმე თედორეს ძე ხურციძე, 1919 წ. 28 აპრილის დადგენილებით დანიშნულია ამავე სასამართლოში კანცელარიის მოსამსახურეთ 10 აპრილიდან.

—

სენაკის სამომრიგებლო სასამართლოს განყოფილების მდივნის თანაშემწე ლეონტი იაგორას ძე კიზირია ინიშნება ექვს ამავ მაისიდან სენაკის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს მდივნათ.

—

სენაკის სამომრიგებლო სასამართლოს განყოფილების კანცელარიის მოხელე აქსენტი თომას ძე გეგენავა ინიშნება ექვს ამა მაი-

სიდან სენაკის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს თარჯიმნათ.

—

ბაღდადის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ამით აცხადებს, რომ ივანე მალაქიას ძე ჩიტიძე, 1919 წ. 28 აპრილის დადგენილებით დანიშნულია ამავე სასამართლოში კანცელარიის მოსამსახურეთ 10 აპრილიდან.

## ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

### 5 ივნისის სხდომა.

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ჟორდანია.

მინისტრები: ბ. ბ. გეგეჭკორი, ხომერიკი, კანდელაკი და რამიშვილი. სახელმწიფო კონტროლიორი ბ. გოგიჩაიშვილი. ტფილ ისის ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი.

მინისტრთა ამხანაგები ბ. ბ. გელეიშვილი, ცინცაძე, საბახტარაშვილი, გედევანიშვილი, ჭეჭინაძე, დეპარტამენტის დირექტორი ჭ ჭინაძე, ჭანტურიშვილი, სასურსათო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ბ. ცაბაძე. საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე, მდივნობს დ. ლომთაძე.

### სასჯელის პატიება.

ნაპოლეონ არტემის ძე თემურალოვის თხოვნა სასჯელის პატიების შესახებ შეწყნარებულ იქნას.

### უარი სასჯელის შეცვლაზე.

_ესტატე გრიგოლის ძე ნონიკაშვილის თხოვნა სიკვდილის დასჯის პატიების შესახებ უყურადღებოთ იქნას დატოვებული.

### 10 მილ. სესხი ქალაქს.

პრინციპიალურათ მიღებულ იქნას ქ. ტფილისის თვითმართველობისთვის 10 მილიონი მანეთის სესხათ მიცემა ქალაქის უძრავი ქონების დაგირავებით. სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

### კანონ პროექტი.

კანონ-პროექტი სამრეწველო საკლავ საქონელზე გადასახადის გადიდებისა გადაეცეს ფინანსთა მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს დასკვნისათვის.

### არქივის დაარსება.

მოხსენება ადმინისტრაციის ინსპექტორის ქუთაისური თანაშემწის კანცელარიასთან არქივის დაარსების შესახებ მოწონებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

### სახელმწიფო დაწესებულებათა შენახვა.

1) 1919 წლის 1 ივნისიდან 1919—20 წლის ბიუჯეტის პროექტის საკანონმდებლო წესით დამტკიცებამდე, გაიხსნას ყოველთვიურათ სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახათ, თანახმათ თანდართულ ნუსხისა, $^1/_{12}$ ნაწილი იმ ჯამისა, რომელიც აღრიცხულია ხსენებული ბიუჯეტის პროექტით.

2) დროებითი გასავლის კრედიტების ნუსხის მიხედვით (კან. 1919 წ. 31 იანვრ. „საქართველოს რესპ.“ № 41) გახსნილი კრედიტებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახათ თვიური დამატებითი კრედიტების (კან. 1919 წ. 20 მაისისა მუხ. 2 „საქართვ. რესპ.“ № 116) ნაშთი დაიხუროს 1919 წ. 1 ივნისს.

3) 10 და 25 მილიონიან ფონდიდან გაღებული კრედიტების ხარჯვის უფლება გაგრძელდეს სამი თვით 1919 წ. 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე.

4) საამშენებლო მიზნებისათვის გახსნილი კრედიტების მოქმედება და ხარჯვის უფლება გაგრძელდეს 1920 წლ. 1 იანვრამდე.

5) 31 მაისამდე თანჩართვით სახარჯოთ გამოწერილ ასიგნობათა განაღდება არ მომხდარა ფულის ნიშნების უქონლობის გამო, გაგრძელდეს 1919 წ. 1 სექტემბრამდე.

6) გაიცეს სახალხო გვარდიის განკარგულებაში ყოველთვიურათ 4 მილიონი მანეთი.

### დებულების და შტატების პროექტი.

1) დებულების პროექტი ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის საბჭოს შესახებ მოწონებულ იქნას და წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

2) სახელმწიფო კონტროლის დასკვნის თანახმად საბჭოს მდივანს წლიურათ დაენიშნოს ჯამაგირათ 18000 მან. მაგიერ 10800 მ. და საქმის მწარმოებელს თითეულს 12000 მან. მაგიერ 8400 მან. ამ რაგათ გამოთხოვილ იქმნას ყოველ წლიური კრედიტი საბჭოს ხარჯების დასაფარავათ 149600 მან.

საბჭოს დებულება შემოღებულ იქნას 1919 წ. 1 აპრილიდან.

4) ვინაიდან საბჭოს მოქმედების გახსნა სასწრაფოა, დებულება განხორციელებულ იქნას დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებამდე და 10 მილიონიან ფონდიდან გახსნილ იქნას 24932 მ. 33 კ. კრედიტი საბჭოს ორი თვით შესანახი ხარჯების დასაფარავათ.

### მუსულმანთა სკოლების ინსპექტორი.

მოხსენებანი განათლების მინისტრისა მუსულმანთა სკოლებისათვის ინსპექტორის დანიშვნის შესახებ გადაეცეს ფინანსთა მინისტრს სახელმწიფო კონტროლის დასკვნისათვის.

### კრედიტების აღდგენა.

წინადადება მიეცეს ფინინსთა მინისტრს აღდგენილ იქნას კრედიტები, რომელნიც დაიხურა 31 მაისს, რადგან ასიგნოვკები არ მართლდებოდენ ფულის ნიშნების ნაკლულებობის გამო. ეს დადგენილება გავრცელდეს როგორც სამხედრო, ისე სხვა უწყებაზე.

### შრომის უნარ დაკარგულ სამხედრო პირთ დახმარება.

გადაიდოს სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში სამხედრო 25 მილიონიან ფონდიდან 100000 მანეთი შრომის უნარ დაკარგულ ჯარის კაცთა, ოფიცერთა და მათ ოჯახების დასახმარებლათ. ეს დადგენილება სისრულეში იქნას მოყვანილი ჟურნალის დამტკიცებამდე

### სამხედრო ცენზორებს.

გაუქმებულ სამხედრო საცენზორო დაწესებულებათა ცენზორებს მიეცეთ საკრედიტო მოწმობა რუსეთის ხაზინაზე.

### წითელ ჯვრისათვის.

1) თანახმათ სახელმწიფო კონტროლის დასკვნისა მიღებულ იქნას რკინის გზის ბილეთების დაბეგვრა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოთ შემდეგი ნორმით: მესემე კლასის ბილეთი 25 კ. მეორესი 75 კ. და პირველ კლასის-1 მანეთით.

2) ამ სახის დეკრეტი წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას შინაგან საქმეთა მინისტრმა.

3) საკითხი თეატრ კინემატოგრაფისა და სხვა გასართობთა ბილეთების დაბეგვრის შესახებ გადაიდოს.

### დამატებითი ჯამაგირები.

გადაიდოს მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 10 მილიონიან ფონდიდან 14,960 მანეთი ქიმიურ ლაბორატორიის პირათ შემადგენლობის დამატებითი ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლათ 1 იანვრიდან 1 ივნისამდე 1919 წლისა.

### კანონ-პროექტი.

კანონ-პროექტი ცხენის წყალის ნაპირების გასამაგრებლათ 66,000 მანეთის გაღების შესახებ მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

### კრედიტის გახსნა.

მოხსენება გზათა დეპარტამენტის დირექტორისა 290089 მ. და 25 კ. კრედიტის გახსნის შესახებ რკინის გზაზე წინწკლებიან სახადთან საბრძოლველათ მოწონებულ იქნას და სათანადო კანონ-პროექტი წარადგინოს დამფუძნებელ კრებას.

# სახალხო განათლების სამინისტროში.

### გამოფენა ქალთა სემინარიაში.

თამარ-მეფის სახელობის ტფილისის ქალთა საოსტატო სემინარიაში ამ დღეებში გაიხსნა გამოფენა ამ სასწავლებლის მოწაფეთა ნახატების და ხელ-ვარჯიშობის ნიმუშებისა.

### ცირკულიარი დაკარგულ ბეჭდის გამო.

ამას წინად თევზაძისეულ გიმნაზიიდან გატაცებულ ბეჭდის გამო უმაღლეს და საშუალო სკოლათა მთავარგამგემ ს. დანელიამ შემდეგი ცირკულიარული ცნობა დაუგზავნა რესპუბლიკის ქალთა და ვაჟთა საშუალო სასწავლებელთა უფროსებს: „ამით გაცნობებთ, რომ არც ერთი მოწმობა, რომელიც კი გაცემულია ტფილისის კერძო ნ. გ. თევზაძისეულ გიმნაზიიდან და რომელსაც აზის ბეჭედი ზეწარწერით: „Мужская и женская гимназія Н. Г. Тевзадзе“ არაა ნამდვილი.

### ახალი სახელმძღვანელო.

ტფილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის დირექტორმა სპირ. ჯორჯაძიამ შეადგინა სახელმძღვანელო წიგნი ანალიტიურ გეომეტრიისა საშუალო სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

### ისტორიის კომისიის სხდომა.

განათლების სამინისტროსთან დაარსებულმა სხვა და სხვა საგნის საპროგრამო კომისიებმა უკვე დაასრულეს თავიანთი მუშაობა და მოკლე ხანში სამინისტროს წარუდგენენ კიდეც სათანადო მასალას საშუალო სკოლის პროგრამების შესადგენად. გამონაკლისს წარმოადგენს მარტო ისტორიის კომისია, რომელსაც, როგორც სამინისტროში მოსულ ცნობებიდან სჩანს, ჯერ არც ერთი კრება არ გაუმართავს და, მაშასადამე, არც საპროგრამო მასალა აქვს დამზადებული. ამიტომ განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა ისტორიის კომისიის წევრებს ხუთშაბათს, 12 ივნისს, საღამოს 7 საათზე, თავი მოიყარონ ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში და თავიანთ მუშაობას შეუდგნენ.

### კომისიათა პრეზიდიუმების შეერთებული სხდომა.

ოთხშაბათს, 11 ივნისს, სახალხო განათლების სამინისტროს ბინაზე შესდგა სახელმძღვანელოების განმხილველ და სარეცენზიო კომისიასთან არჩეულ პრეზიდიუმების შეერთებული კრება.

### საკომერციო განყოფილება სამტრედიაში.

სამტრედიის ოთხკლასიან გიმნაზიის დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა მას ნება დაერთოს მომავალ სასწავლო წლიდან ხსენებულ გიმნაზიასთან დაარსოს საკომერციო განყოფილება. სამინისტრო თანაგრძნობით შეეგება ასეთ კეთილ განზრახვას, მაგრამ საჭიროდ სცნო საშუალო სკოლათა მთავარგამგის პირით მოეთხოვნა გიმნაზიის დირექტორისგან დაწვრილებითი ხარჯ-აღრიცხვა საკომერციო განყოფილებისათვის და ყოველმხრივად შემუშავებული სასწავლო გეგმა. ამ მასალის მიღებისათანავე სამტრედიის გიმნაზიას ნება მიცემა საკომერციო განყოფილების გახსნისა.

### საზღვარ-გარედ წასვლის მთხოველნი.

განათლების სამინისტროს უკვე ასზე მეტი თხოვნა აქვს მიღებული სხვა და სხვა პირებისგან, რომელნიც თხოულობენ ჩარიცხვას იმ სტიპენდიატებში, მთავრობა თვის ხარჯით რომ აპირებს საზღვარ-გარედ სპეციალურ (განსაკუთრებით ტეხნიკურ) სწავლა-განათლების მისაღებად. ამავე დროს პროვინციებიდანაც და ადგილობრივ სამინისტროს მოსდიოდა დიდძალი შეკითხვები, თუ ვის ჰგზავნიან, რა პირობებით, ვის მიეცემა უპირატესობა, რა ცოდნაა საჭირო, მოითხოვენ თუ არა ევროპიულ რომელიმე ენის ზედმიწევნით ცოდნას, სახელდობრ რომელ ქვეყნებში უპირობენ ახალგაზრდების გაგზავნას, რამდენ წელიწადს უდებენ ვადას სწავლის დასრულებისათვის და სხვა. სამინისტრო შეძლებისამებრ განმარტებას დაინტერესებულ პირთ აძლევს.

### სარეცენზიო წიგნები.

განათლების სამინისტრომ მიიღო სარეცენზიოდ სათანადო სკოლებსა და კლასებში ხმარებისათვის შემოსაღებად სხვა და სხვა სახელმძღვანელო წიგნები. სახელმძღვანელოები მოდის როგორც ნაბეჭდი, ისე ხელთნაწერი. ჰგზავნიან თვითონ ავტორებიც და გამომცემლებიც (მთავრიშვილი, ამხ. „მერანი“ და სხვა). ხელთნაწერები შემდეგი აქვს მიღებული სამინისტროს: 1) ტფ. ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის დირ. მ. ზაალიშვილისა „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“, შედარებით პირველ (უკვე დაბეჭდილ) გამოცემასთან შესწორებული და შევსებული; 2) ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორის გიორგი მომესძის ჯანაშვილისა: „საქართველოს გეოგრაფია“, დიაგრამებით და კარტოგრამებით დართული; 3) მისივე „დასაწყისი კურსი გეოგრაფიისა, ნაწილი პირველი“. სახელმძღვანელოების გარდა სამინისტროს მოსდის აგრეთვე (განსაკუთრებით გამომცემლებისაგან) სხა და სხვა საკითხავი წიგნებიც, ხშირად ისეთნიც, რომელთაც სკოლასა და მოწაფეობასთან ძალიან ნაკლები კავშირი აქვთ.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

### ლტოლვილთა საჭიროებისათვის ორი მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა გაღებულ იქმნას მის განკარგულებაში ლტოლვილთა დასახმარებლად ორი მილიონი მანეთი. აღნიშნული ორი მილიონის საშუალებით ლტოლვილთა ცენტრალურ კომიტეტს მიზნად აქვს განახორციელოს შემდეგი:

1. ახალციხე ახალქალაქის მაზრების დარჩენილ ლტოლვილთა ევაკუაცია, მათი უზრუნველ-ყოფა სურსათით გზაში და ბინადრობის ადგილზე ახალ მოსავლამდე, აგრარული დახმარება და სააქიმო დახმარების ორგანიზაციის მოწყობა მცხოვრებთა საჭიროებისათვის.

2. ტფილისში დარჩენილ ლტოლვილთა სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

3. საქართველოს ტერიტორიიდან მეზობელ სახელმწიფოების ლტოლვილთა ევაკუაცია.

4. ნიადაგის შემზადება საზღვარგარეთიდან მომავალ ლტოლვილთა გადასაყვანად საქართველოს ტერიტორიაზე თავის სამშობლოში.

5. სააქიმო, სასურსათო და აგრარული დახმარების ორგანიზაცია ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთა ღარიბ ნაწილებისათვის და სხვა.

გამოთხოვნილ ორი [illegible] ვად შინაგან-საქმეთა სამინისტროს შემუშავებული აქვს პროექტი — [illegible] და კახეთის რკინის გზის სამგზავრო ბილეთების და გადასატან ბარგის დაბეგვრის შესახებ. პროექტით განზრახულია პირველი და მეორე კლასის ბილეთების დაბეგვრა ათათი შაურით, მესამე კლასის ექვსი შაურით და ყოველი ფუთ ბარგზე 50 კ.

# ფინანსთა სამინისტროში

### არტილერიის და სატეხნიკო კურსების დაარსების შესახებ.

სამხედრო სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, დაარსდეს არსენალთან სპეციალისტების მოსამზადებელი კურსები. კურსების შესანახავად სამინისტრო მოითხოვს 19,400 მან.

# შრომის სამინისტროში.

### ბ. ერაძის დაბრუნება.

შრომის მინისტრის ამხ. ბ. გ. ერაძე, რომელიც გაემგზავრა ხუთშაბათს 5 ივნისს დილით ს. ვარციხეში სახელმწიფო მამულში მომუშავეთა გაფიცვის და კონფლიქტის მოსაგვარებლათ დაბრუნდა ტფილისს შაბათს 7 ივნისს. ბ. ერაძის გადმოცემით კონფლიქტი აღმოცენებულა მუშების მხრივ ეკონომიურ მოთხოვნილებაზე. გაფიცვა კი გამოუწვევია იმ კომისიის შემცდარ ცნობის მიცემის მუშებისათვის, რომელიც ამა წლის იანვარში მამულში სხვა და სხვა ტეხნიკურ საშუალების მოსაწყობათ წასულა. შრომის მინისტრის ამხ. გ. ერაძის წინადადებისამებრ მუშები შედგომიან მუშაობას 7 ივნისიდან შემდეგ პირობებში. 1) ეკონომიური მოთხოვნილება მათი იქნება დაკმაყოფილებული მთავრობის გადაწყვეტილებისამებრ. 2) ადმინისტრაცია, რომელიც ამდენხანი შედიოდა პროფ. კავშირში, როგორც სრულ-უფლებიანი წევრები, ამიერიდან კავშირიდან გამორიცხული იქნება.

### სატარიფო პალატის სხდომა.

ხუთშაბათს, 12 ივნისს საღამოს 7 საათზე შრომის სამინისტროში მოხდება სატარიფო პალატის სხდომა. ამ სხდომაზე სპეციალურათ გამოწვეულია მეთამბაქო ქარხნების როგორც მეპატრონეები, ისე ამავე სექციის მუშები. გაირჩევა თამბაქოზე მომუშავეთა ახალი მოთხოვნილება, რომელიც ყველა მოთხოვნილებაზე ადრე შემოვიდა. სატარიფო პალატაში აუცილებელია ყველა წევრების დასწრება.

# ფოსტა-ტელეგრაფი

ამ ბოლო დროს აბონენტების ბინებიდან ბოროტ-განზრახველებმა მოტყუილებით გაიტაცეს რამოდენიმე ტელეფონი: მისულან აბონენტებთან ბოროტ-მოქმედნი და ჩემის სახელით მოუთხოვიათ აპარატის მოხსნის ნებართვა, აბონენტებსაც დაუჯერებიათ და მიუციათ ტელეფონები, ხოლო ბოროტ-გამზრახველთ მოხსნილი აპარატები სადღაც წაუღიათ და გაუყიდნიათ.

შემდეგისათვის ასეთ მოვლენათა თავიდან ასაშორებლად ამიერიდან ყოველი, რომელსაც ჩემგან მონდობილი ექნება ტელეფონის მოხსნა, აღჭურვილ იქნებიან ჩემგან ხელმოწერილ და სახელმწიფო ბეჭედ დასმულ მიწერილობით, რომელიც მან უნდა ჩააბაროს აბონენტს. ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია მოაწერინოს ხელი მანქანის წამღებ პირს მიწერილობაზე და დაიტოვოს იგი საბუთად.

თუ ვინიცობაა შემდეგშიაც ექნა ადგილი ბოროტგანზრახვათ, პასუხისმგებელი იქნება ის აბონენტი, რომელსაც არ აღმოაჩნდება ჩემგან ხელმოწერილი და სახელმწიფო ბეჭედ დასმული მიწერილობა.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს

უფროსი მგელაძე.

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია*)

### ამიერ-კავკ. კონფერენციის კომისიებში.

### საფინანსო-ეკონომიურ კომისიაში.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის 22 მაისის სხდომაზე მოისმინეს მოხსენება საფინანსო-საეკონომიო კომისიისა. ეს კომისია შესდგა 9 მაისს და 21 მაისამდე 7 სხდომა ჰქონია, რომელზედაც შემდეგი საკითხები: დაუმუშავებია 1) ფულის მოძრაობაზე, 2) საქონლის მოძრაობა და საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე, 3) სადამოჟნო საკითხი, 4) ტრანზიტ

*) ხვალ ჩვენს გაზეთში მოთავსებული იქნება ამ სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

[illegible]

ბა და ტრანსპორტებზე 5) ყველა კუთხის საზოგადოკონკრეტიულ ეკონომიურ ზომების მიღებაზე და 6) სხვა და სხვა ეკონომიური საკითხები.

ფულის მოძრაობის შესახებ მიღებულია გადჭრილი დასკვნანი ვალიუტის შესახებ. ამავე და სხვა ზოგიერთ სხვა საკითხებზე გამოტანილია მთელი წყება საგანგებო დებულებანი, რომელსაც განიხილავს კონფერენციის მახლობელი სხდომა,

კონფერენციის ამავე სხდომაზე მოისმინეს მოხსენებანი სარკინისგზო და მომთაბარეთა კომისიისა. პირველ კომისიამ წარმოუდგინა განსახილველათ კონფერენციას მთელი წყება მის მიერ აღძრულ საკითხებისა და ის დასკვნანი, რომელიც მან მიიღო. ეს დებულებანიც კონფერენციის მახლობელ კრებაზე იქნება განხილული. რაც შეეხება მომთაბარეთა კომისიის მოხსენებას, იგი გადაიდო მახლობელ სხდომისათვის, ვინაიდან საბოლოო დასკვნანი მომთაბარეთა კომისიას ჯერ არ შეუმუშავებია.

9 ივნისის საღამოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბინაზე ე. პ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით შესდგა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენციის სხდომა.

გადმოხვეწილთა და სამოსამართლო უფლებრივი კომისიების მოხსენების შემდეგ, კონფერენციამ დაადგინა, რომ ყველა ის საკითხები, რომელნიც კომისიებში ერთხმათ იქმნენ მიღებულნი, საბოლოოთ გარდაწყვეტილათ იქნენ ცნობილნი, ხოლო ამ საკითხების გადაწყვეტა მიენდოს კონფერენციის პრეზიდიუმს.

სხდომა გადადის საქართველოს დელეგაციის მიერ წარდგენილ წინადადების მოსაწონათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ძალების გაერთიანების შესახებ საერთო მტრისაგან თავდაცვის საქმეში. პირველათ ლაპარაკობს ბ-ნი ნოე რამიშვილი.

**ნოე რამიშვილის განცხადება.**

საკითხი, რომელიც წამოაყენა საქართველოს დელეგაციამ, არის ძირითადი საკითხი: შეკავშირება ჩვენი ძალების, გააძლიერებს ამ ძალებს. ამ ჟამად სწყდება ჩვენი არსებობის საკითხი.

მოხალისეთა ჯარის წინსვლა, რომელიც გამოიხატება მთიელთა დაპყრობით, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათათვის: ამას ისინი თვით არ მალავენ. ისინი ამბობენ, რომ შეუძლიათ ავტონომია მისცენ თვითგამორკვეულ ერებს.

მუქარა ამიერ-კავკასიის ერთა დამოუკიდებლობისადმი და მუქარა რევოლუციის ყველა მონაპოვრებისადმი—აი ჩვენი მდგომარეობა.

ეს საკითხი, რომ კერძო ხასიათის იყოს, მას აქ არ წამოვაყენებდით, მაგრამ რადგან იგი საერთო ხასიათის არის, ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ ამიერ-კავკასიის კონფერენციამ განიხილოს იგი და საერთო დადგენილება მიიღოს.

რამდენათაც საკითხი ეხება ჩვენი საზღვრების დაცვას, ჩვენი რესპუბლიკა მას დაიცავს.

მოხალისეთა მოძრაობა ხასიათდება ორ სიტყვაში: ხალხთა მიძინებაში. მიაძინონ მთიელნი, შემდეგ აზერბეიჯანი და სხვებზე გადავიდეს.

დღევანდელი მომენტი ითხოვს, რომ ეს ხალხები შეეკავშირებინა. ამიტომ მე მაქვს პატივი წარმოვადგინო შემდეგი რეზოლიუცია:

მთიელთა კავშირის რესპუბლიკაზე მოხალისეთა ჯარის შემოტევა, თავისუფლების მოყვარე ჩრდილო-კავკასიელ ერთა ძალით დამონება, და კერძოთ, მისი დაღესტანში შეჭრა არის არა მარტო თვითგამორკვეულ ჩრდილო-კავკასიელ ერთა უფლების გათელვა, არამედ პირდაპირი დამუქრება კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის მოსასპობად; მით უფრო, რომ მოხალისეთა ჯარი, გენ. დენიკინის სახით, არა ჰფარავს თავის განზრახვას: ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ოკუპაციას, მათ ტერიტორიაზე რევოლიუციამდე არსებულ წყობილების გამეფებისა და მთლიან რუსეთის აღდგენას.

ვაცხადებთ რა უსასტიკეს პროტესტს პარიზის საზავო კონფერენციისა და ნეიტრალ ქვეყნების წინაშე გენ. დენიკინის დაპყრობითი თვითგამორკვეულ კავკასიის ერთა უფლებათა შელახვის სურვილების წინაღმდეგ, კონფერენცია ადგენს გაერთიანდეს ამიერ-კავკასიის ერთა სამხედრო დიპლომატიური ძალები მომდგარ საფრთხის დასაძლევად და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ამ რეზოლიუციის მიღებით ჩაეყრება საფუძველი მარტო მოქმედებას და მასში იქნება მომავლის საბუთიც.

აზერბაიჯანის დელეგაციის სახელით ფატალი-ხან-ხოელი აცხადებს რომ წარმოდგენილი წინადადება და რეზოლიუციაც სავსებით მისაღებია სავსებით შეეფერება დღევანდელ მომენტს.

**ხ. ტიგრიანი** (სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი): ეს წინადადება წარმომდგენელია საქართველოს დელეგაციის მხრით, თუ მას საქართველოს მთავრობის სანქციაც აქვს?

**ე. გეგეჭკორი:** მთავრობაც და დელეგაციაც ერთი აზრის არიან.

**ხ. ტიგრანიანი;** ეს კითხვა მე მისთვის მოგეცით, რომ ჩვენმა დელეგაციამ ამ საკითხის შესახებ მთავრობის აზრი არ იცის. ანალოგიური საკითხი წამოყენებული იყო აზერბაიჯანის ნოტაშიაც და მაშინ ჩვენმა მთავრობამ გამოსთქვა თავისი აზრი.

ამ ჟამად, როდესაც ჩვენ ხელთ არა გვაქვს ჩვენი მთავრობის აზრი, ჩვენ არ შეგვიძლია პასუხის მოცემა, უნდა შევეკითხოთ ჩვენს მთავრობას.

ამ ჟამად მე გთხოვთ, მიპასუხოთ რამდენიმე კითხვაზე, რომელიც გამოწვეულნი არიან ძალიან მცირე და ცუდ ჩვენი ინფორმაციით. აქ ითქვა, რომ დენიკინი არ სცნობს ჩვენს სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას, მაგრამ მის წამრომადგენელთა ოფიციალურ განცხადებიდან ეს არ სჩანს. დენიკინის ჯარს სრულებით სხვა განზრახვანი აქვს და მგონია, თუმც სპეციალისტი არა ვარ სამხედრო საქმეებში, ჩვენს წინაარმდეგ წამოსვლა, მის მიზანს არ შეადგენს, ამ საკითხის შესახებ, მე გთხოვთ, მომცეთ უფრო გარკვეული ცნობები, რომ შევძლო ჩემს მთავრობას ვაცნობო ესენი და განუცხადო, რომ მოხოლისეთა ჯარის მხრივ მას საფთრხე ელის.

მე მგონია რომ ესეთი საშიშროება იქნება მაშინ, როდესაც რუსეთი აღსდგება და შეკრებას დაიწყებს, ხოლო ეხლა, ჩემის აზრით, იგი საფუძველს მოკლებულია. შემდეგ, თქვენს მიერ წარმოდგენილ წინადადებაში, ლაპარაკია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სამხედრო დიპლომატიურ თავდაცვის კავშირზე და შემდეგ: გველის ჩვენ საფთრხე მარტო ჩრდილოეთიდან? საშიშია მდგომარეობა სამხრეთშიც, სადაც ჩვენ ვიცით, რომ, ოსმალთა ჯარები აზრუმში იმყოფებიან?

**ე. გეგეჭკორის სიტყვა.**

ჩემს განმარტებას მე დავიწყებ უკანასკნელათ გამოთქმულ აზრისაგან: აქ წარმოდგენილი რეზოლუცია არის პასუხი კონკრეტიულ კითხვებზედაც. იქ ნათქვამია დენიკინის ჯარის წინსვლაზედ და იმ ზომებზედ, რომელთაც მთავრობა საჭიროთ სთვლის მის გასაჩერებლათ. პოზიცია, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაიკავა, იმდენათ ნათელი და გარკვეულია და ასეთივე იყო მაშინაც, როდესაც ქართველი ერი თავის აქტიურ უფლებისათვის გამოვიდა.

ჩვენ ვიცავთ ჩვენს სახელმწიფოებრივობას, დავიცავთ ამიერ-კავკასიას, საიდანაც კი არ უქადდეს მას საფრთხე.

ერთი წლის წინად ჩვენს წინაშე იდგა ის დილლემა, რომელიც სდგას ეხლაც. დავრჩეთ ამიერ-კავკასიის ფარგლებში, თუ ნება მივცეთ მტერს განაგრძოს წინსვლა?

ჩვენი გარდაწყვეტილება თქვენთვის ცნობილია. ჩვენ ვიბრძოდით მაშინაც და ახალი ფორმა ჩვენი სახელმწიფოებრივი ყოდისაკენ შესცვლის ჩვენს გარდაწყვეტილებას.

ჩვენ ვიცავდით თავისუფლებას, ჩვენ ვიცავთ ამ თავისუფლებას და ვიბრძოლებთ ამ თავისუფლებისათვის.

წარმოდგენილ კითხვაზედ პასუხი პირდაპირია. ეხლა სდგას საკითხი დენიკინისაგან მომდგარ საფრთხეზედ, მაგრამ თუ იქნება ეს საფრთხე სამხრეთიდანაც, ჩვენ პირველ რიგში ვიქნებით. თუ თქვენი შესწორება ამ სახის არის, ჩვენ მივიღებთ მას.

რაც შეეხება ინფორმაციის საკითხს, ახალ ცნობებს ჩვენ ვერ წარმოგიდგენთ: დენიკინის მოძრაობა თქვენთვის ცნობილია, მთიულეთის დაპყრობაც მომხდარი ფაქტია; მე არ დავმალავ: დღესაც მივიღეთ ცნობა, რომ პეტროვსკის გარნიზონი გაძლიერებულ იქმნა დენიკინის მიერ. მისი მოქმედების აგრესსიული ხასიათი, საკმაოთ გამომჟღავნებულია.

რაც შეეხება მეორე კითხვას, სამხედრო-დიპლომატიურ თავდაცვის კავშირს და თუ რა ფორმა გვსურს მივცეთ მას, ჩვენ გავეცით პასუხი დამფუძნებელი კრების წინაშე.

ჩვენი საშუალებანი დღეს ამოწურული უნდა იქნეს და სასწორზედ დადებული. უნდა მოხდეს ყველა ძალთა კოორდინაცია ჩვენი მხარის და ხალხთა დასაცავათ. ჩვენი რეზოლიუცია პასუხი იყო მხოლოთ კონკრეტულ კითხვებზედ; საზღვრების დაცვა და დაცვა ჩვენი ფრონტების, ყოველთვის ჩვენი მიზანი იყო. ყველაფერი ნათქვამია; ჩვენ არაფერი არ დავმალეთ ეს. დღეს ისეთი მომენტია, როდესაც არაფრის დამალვა და არც მიყუჩება არ შეიძლება.

**ნოე რამიშვილი.** აქ ითქვა, რომ ზოგიერთებმა უნდა წარუდგინონ აქ წამოყენებული მოსაზრებანი თავის მთავრობას, რომ მისგან მიიღონ დირექტივები.

ეს საკითხი მე დავსვი აქ, 29 მაისს და 12 დღის განმავლობაში, მათ საკმაო დრო ჰქონდათ გაეგოთ აზრი თავისი მთავრობისა.

დენიკინის სახელით აქ იყო მისი სრულ უფლებიანი წარმომადგენელი გენ. ბრიგსი და მან განაცხადა, რომ გენ. დენიკინი თანახმაა მოგვცეს ჩვენ ავტონომია.

აზერბეიჯანის პარლამენტში წაკითხულ იქმნა ქაღალდი, რომ სამხრეთ რუსეთის სარდლობა არ სცნობს აზერბეიჯანს რუსეთისგან ჩამოშორებულათ. ამ ქაღალდს ხელს აწერს დენიკინის წარმომადგენელი პოლკ. ლაზარევი.

ეს განცხადება სავსებით ეთანაბრება ბრიგსის განცხადებას; დაღესტნისა და სოჭის ფრონტზე ძალების დაგროვება, რომ დამამტკიცებელი საბუთია ამისა.

**მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლის ალი-ხან კანტემირის განცხადება.**

მე ხელთა მაქვს ორი ქაღალდი მოკავშირეთა და ჩრდილოეთის სარდლობის მიერ მოცემული. ჩვენთვის, რომ ვიდრე პარიზის კონფერენცია საბოლოოთ არ გადასწყვეტს მცირე ერთა საკითხს, ჩვენ თავისუფალნი ვართ შინაურ მართვა-გამგეობაში და არავინ მასში არ ჩაერევა და კერძოთ დენიკინი ნაბიჯსაც არ გადასდგამსო. არ გასულა ორი კვირა ამ განცხადების შემდეგ, რომ დენიკინი შეტევაზედ გადმოვიდა.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ მოხალისეთა არმიის მსვლელობა განზრახულია ამიერ-კავკასიისაკენ. მე ვესალმები იმ წინადადებას, რომელიც აქ წარმოადგინა საქართველოს დელეგაციამ და სავსებით მიზანშეწონილათ მიაჩნია.

# ერობა

**ქუთაისის სამაზრო ერობაში.**

**აგარაკ წყალტუბოს მინერალური წყლები.**

ქუთაისის სამაზრო ერობის აგარაკ წყალტუბოს სამკურნალო წყლების აქიმ ვლ. მდივნის ცნობით, წელს საბანაო სეზონი დაიწყება პირველ ივნისს (ახ სტ.) ვინაიდან მომავალში ერობას გადაწყვეტილი აქვს წყალტუბოს სამკურნალო წყლების ევროპიულად მოწყობა და მთელი შენობების ხელ-ახლად აგება, წელს ერობას მხოლოდ იმდენათ შეუსწორებია და შეუკეთებია აბანოს შენობები და საცხოვრებელი ბინები, რამდენათ შესძლო ყოფილა და გარემოება ხელს უწყობდა. დიდი ყურადღება აქვს თურმე მიქცეული აბანოებზე და საცხოვრებელ ბინებზე სისუფთავის დაცვას და საზოგადოთ მთელი აგარაკის სანიტარულ მხარეს: ყოველი ბანაობის შემდეგ, საგანგებო დანიშნული სანიტრები დასწმენდენ აბანოებს, აგრეთვე სისუფთავეს იცავენ და ალაგებენ საცხოვრებელ ბინებს სპეციალურათ ამისათვის მეჩნეული მოსამსახურენი; აგარაკს განაგებს და იცავს ერობის მილიცია, გარდა ამისა ერობა სცდილობს აგარაკზე მიმოსვლის საქმის მოგვარებას, ამის გამო მიღებულია ზომები ქუთაისიდან აგარაკზე მიმავალ გზის შესაკეთებლათ. ჯერ-ჯერობით ქუთაისსა და აგარაკ შუა ივლის ერობის ლინეიკა და რამოდენიმე ურემი.

მიუღია რა ერობას მხედველობაში სანოვაგის სიძვირე, აგარაკზე გაუხსნია საკუთარი ფურნე, საიდანაც აბანოზე მომსვლელთ რთობ შეღავათიან ფასებში დაეთმობათ ჯერ-ჯერობით მჭადი და შემდეგ თუ მოხერხდა პურიც.

აგარაკზე მიმსვლელთ სინჯავს და აქიმობს სამკურნალო წყლების აქიმი, რაც შეეხება აგარაკზე მომქმედ ფასებს, ჩვენის აზრით არ უნდა ჩაითვალოს ძვირათ: მაგალითად 1) სეზონის ბარათი ღირს 10 მან., 1) საბანაო ბილეთი 50 კაპ. 2 მანეთამდე, 3) ოთახის ქირა 8 მ. 12 მ-დე.

**რაჭის ერობაში.**

დ. ონი. ეს მესამე თვეა რაც ჩვენში ერობა არსებობს. მართალია ყველაზე გვიან მოხთა ამ მაზრაში არჩევნები; მაგრამ ამას ოდნავათათ არ შეუფერხებია ერობის მუშაობის წინსვლა. ერობამ მოიტანა დიდძალი საცვლები, რაც შეღავათიან ფასებში დაურიგეს ხალხს ჩაიბარეს საავათმყოფო ექიმ-ფერშლებით რომლებიც უკმაყოფილო იყვენ ჯამაგირის მიუღებლობით, განაახლეს საავათმყოფო, მოიტანეს აუარებელი მედიკამენტები, გახსნეს რამოდენიმე ალაგას საექიმო პუნქტები და აფთიაქები, შეუდგენ გზების კეთებას და სხ. ერთი სიტყვით რაჭის მაზრას გამოცოცხლება დაეტყო. აქ მინდა კიდევ ერობამ ყურადღება მიაქციოს ერთ რამეს: თუმცა ის ექიმ ფერშლებს თავის დროზე აგზავნის ავათმყოფებთან, მაგრამ ჩემის აზრით ეს არ კმარა. ავადმყოფთან მისული ექიმი და ფერშალი ვერ მისკემს იმ დარიგებას მოვლის შესახებ, რომელიც საჭირო. ამიტომ კარგი იქნებ, რომელიც საჭირო. ამიტომ კარგი იქნება ჩვენმა ერობამ სიკეთეს სიკეთე მიაყოლოს და კვირაობით და უქმე დღეებში მოაწყოს [illegible] რათაც ლექციების კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი მოვლა უნდა [illegible] ავათმყოფს ან სხვა ავათმყოფობას. ამით მე მგონია ერობაც ხალხის ყურადღებას დაიმსახურებს და ამდენი მახვერპლიც არ იქნება დღეს რომ არის. მეტი წილი სოფლათ იხოცება მიტომ, რომ არ იციან არავითარი მოვლა.

მეორე—ერობის მნიშვნელობა სოფლათ ბევრმა არ იცის და კარგს იზამს ჩვენი ერობის გამგეობის თავმჯდომარე მოივლიდეს თავის მაზრას და გაეცნობოდეს ხალხის ჭირვარამს. ბოროტება ხდება სოფლათ, მაგრამ ჩვენი კომისრები ვერ ეხმარებიან ხალხს. ერობამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

**თელავის ერობაში**

თელავის მაზრის ერობის გამგეობის წევრთა შორის საქმეები განაწილებული აქვთ ასე: გამგ. თავმჯდ. ლ. ვახვახიშვილს—საზოგადო მეთვალყურეობა, საფინანსო სამეურნეო და სატეხნიკო, მის ამხ. ნ. რამიშვილს საადგილმამულო, სასურსათო და სააგრონომიო, წევრებს ექ. ალ. ხითაროვს—საექიმო და საბეითლო და ბ. ჭუმბურიძეს—საადმინისტრაციო, სასკოლო და სასტატისტიკო.

— მიწად მოქმედების სამინისტროს ვანკარგულებით კონდოლის ამერიკულ ვაზის სანერგე უკვე გადავიდა ერობის ხელში, რომელმაც ჩაიბარა და ამიერიდან იგი განაგებს.

— 5 ივნისს ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის გადასახლების ნაწილის გამგე იოს. მარუაშვილი, რომელსაც დავალებული აქვს ხევსურების გადასახლების შესახებ საქმის გამოძიება.

მარუაშვილი ერობის წარმომადგენელთან ერთად მეორე დღესვე გაემგზავრა მთაში სადაც სცხოვრობენ ხევსურები.

— ივნისს ერობის გამგეობის წევრი ნ. რამიშვილი შილდაში გაემგზავრა, სადაც დანიშნულია გაღმა მხრის რაიონის წარმომადგენელთა კრება სააგრარო რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლათ.

# კოოპერაცია და ერობა

**საქართველოს პირველ კოოპერატიულ ყრილობაზე.**

ამ დღეებში უკვე დასრულდა საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა. მრავალ საყურადღებო საკითხებისაგან ყრილობამ ცალკე გამოჰყო, მოისმინა და გაარჩია შემდეგი კითხვები:

1) მოხსენება ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ.

2) კოოპერატიულ მოძრაობის მიმოხილვა.

3) კოოპერაცია და პოლიტიკური მდგომარეობა.

4) საკოოპერაციო ფინანსები.

5) კოოპერაცია და ადგილობრივი თვითმართველობანი.

6) კოოპერატიული კანონდებლობა.

7) კავშირთა აშენებლობა და კოოპერატიული ცენტრი.

მრავალ საყურადღებო დასკვნათა შორის ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუციები:

**1. კოოპერაცია და ერობა.**

1) როგორც ერობის ისე კოოპერატივის მიზანია დააკმაყოფილოს მცხოვრებთა მეურნეობისა და კულტურული მოთხოვნილებანი

2) განსხვავებანი ერობასა და კოოპერატივთა შორის დამყარებულია იმ იურიდიულ თვისებათა სხვადასხვაობაზე, რომელნიც საფუძვლათ უდევთ ამ ორ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

3) აქედან გამომდინარეობს ის ბუნებრივი მოვლენა, რომ ერობის სამოქმედო სფერო საერთო სახელმწიფოებრივია ან საერთო ადგილობრივი მაინც. ამისდა მიხედვით ერობის ღონისძიებანი მიმართულია საერთო კულტურის (ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით) ამაღლებისაკენ. ერობა ანხორციელებს იმ ღონისძიებებს, რომელნიც სწორედ აქეთკენ არიან მიმართულნი და ამ საერთო კულტურის საფუძველზე მცხოვრებთა სხვა და სხვა ჯგუფები იჩენენ თვით მოქმედების უნარს. გარდა ამისა, ერობის ღონისძიებათა დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ის მათ განსახორციელებლათ მართავს სახელმწიფოებრივ იძულებას, ორგანიზაციულ ძალდატანებას. კოოპერაცია კი მხოლოდ ნებაყოფლობაზეა აშენებული.

4) ერობის და კოოპერაციის ღონის-ძიებათა დაპირისპირება ყოვლად შეუწყნარებელია. პირიქით, მიზან-შეწონილი და შეთანხმებული თანამშრომლობის აუცილებლობა აქ თავისთავათ იგულისხმება. არავითარ შემთხვევაში ერობისა და კოოპერაციის შორის არ უნდა

ჰქონდეს ადგილი ქიშპობას და შეცილებას.

5) კოოპერატიულ მოძრაობის გაღვივება ერობამ თავის ერთ ერთ მოვალეობათ უნდა მიიჩნიოს. ამ მიზნით მან ხელი უნდა შეუწყოს არსებულ კოოპერატივების გაძლიერებას, რამდენადაც ისინი ამას საჭიროებენ, დააარსოს ახალი და სპეციალური კოოპერატივები და უხელმძღვანელოს მათ, სანამ ისინი მოაწყობენ კოოპერატივთა კავშირებს და საზოგადოთ საკუთარ ფეხზე დადგებოდენ.

6) მუნიციპალურ საკრედიტო დაწესებულებების (თუ ასეთების დაარსება საჭირო იქნება ჩვენში) მოღვაწეობა, რასაკვირველია შეთანხმებული უნდა იყოს საკრედიტო კოოპერატივების მოქმედებასთან. ერობამ არ უნდა დააარსოს წვრილი კრედიტის კასები ან განყოფილებები იქ, სადაც არსებობს ან უნდა დაარსდეს საკრედიტო კოოპერატივი პირველი ხარისხისა.

7) სასოფლო მეურნეობის ამაღლების საქმეში ერობამ უნდა გამოიყენოს არსებული. კოოპერატივები. სამეურნეო იარაღის ან სხვა და სხვა სასუქის მიწოდება, მელიორაცია, აგრიკულტურა—ყველა ამ საჭირო საერობო ღონისძიებაში საერობო პოლიტიკა გვიკარნახებს კოოპერაციის გამოყენებას.

საზოგადოთ ერობის აგრონომიულმა განყოფილებებმა მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ ადგილობრივ თვითმოქმედების ორგანოებთან საჭირო აგრონომიულ ღონისძიებათა განსახორციელებლათ.

8) გზების გაყვანა, ტყეების მოშენება, ჭების ამოყვანა და სხვა ამგვარი ერობის საქმეს უნდა შეადგენდეს იმდენათ, რამდენათაც ამ მოღვაწეობას სახელმწიფოებრივი ან საერთო ადგილობრივი მნიშვნელობა მაინც აქვს. ყოველშემთხვევაში კოოპერაციის ინიციატივა ამ დარგშიაც არ უნდა იქნეს შეზღუდული, თუკი ის სათანადო უნარს გამოიჩენს.

9) საავადმყოფოების, ტელეფონის ქსელის ელექტრონის, განათების, აფთიაქების და სხვათა მოწყობა და ხელმძღვანელობა ხსენებულ პრინციპს უნდა დაემორჩილოს.

10) მუდმივი შკოლების ქსელის გაშენება ერობის საქმეა. შკოლის გარეთ კულტურულ განმანათლებელი საქმე კი იყოფა ერობის და კოოპერაციის ინიციატივის და საქმიანობის მიხედვით. 11) საზოგადოთ კოოპერაციისთვის არ არსებობს აკრძალული დარგი მოქმედებისა, ის ყოველგან იჩენს თავს, ყველგან იმოქმედებს შეძლებისდაგვარათ და ამ მისწრაფებას სახელმწიფოსაგან, და, მაშასადამე ერობისაგანაც სჭირდება ხელისშეწყობა.

ჩვენ რომ ნორმალურ დროში ვცხოვრობდეთ, რომ სასურსათო საკითხი ყოფნა-არყოფნის საკითხი არ იყოს ჩვენთვის ამ მხრივ არსებულ სიძნელეს არ ექნებოდა ადგილი. ერთად ერთ გამოსავალ გზათ ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი.

1) კოოპერაციის და ერობის დღევანდელი მდგომარეობა ჩვენში და მეორე მხრივ ჩვენი საერთო ეკონომიური ურთიერთობა გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ სასურსათო საქმე ჩვენს სახელმწიფოში უნდა თავს იდვას თვითმმართველობებმა და კოოპერაციამ. ვერც თვითმართველობა და ვერც კოოპერაცია ცალ ცალკე ვერ შესძლებენ ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმის დამკმაყოფილებლად მოგვარებას.

2) ცენტრალური სასურსათო ორგანო უნდა შესდგებოდეს ერობის, ქალაქების და კოოპერაციის ცენტრალურ დაწესებულების წარმომადგენელთაგან, ამ შეერთებულ ძალას უკეთ, ვიდრე სხვა რომელიმეს შეძლება ექნება გაუძლვეს.

3) ყოველ გვარი განმანათლებელი ფუნქციები უნდა დაეკისროს კოოპერაციას, ეს იმისთვის, რომ კოოპერატივები ერთად ერთი ორგანოებია, რომელიც უკეთ შესძლებენ ამ ფუნქციის შესრულებას, ვიდრე სხვა რომელიმე ორგანიზაციები. ამის გარდა ეს გარემოება ხელს შეუწყობს კოოპერატივების გამაგრებას, მათი ორგანიზაციების გაძლიერებას.

4. ყოველგვარი გასანაწილებელი სურსათი უნდა გადაეცეს ცენტრალურ კოოპერატიულ დაწესებულებას, რომელიც ამუშავებს მთელ თავის აპარატს განაწილების რიგიანათ ჩასატარებლათ.

5) წინა დებულებაში აღნიშნული საჭიროება არ უარყოფს რომელიმე ცალკე საერობო დაწესებულებების და ადგილობრივ კოოპერატივთა კავშირთა შორის ამ გვარივე დამოკიდებულობის შესაძლებლობას, თუ კი ასეთი ღონისძიება ადგილობრივ ერობის მხრივ ადგილობრივ საშუალებებზე და საჭიროებაზეა დამყარებული.

როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივაც უნდა მოეწყოს პასუხისმგებელი სასურსათო დაწესებულებები თვითმართველობის და კოოპერატივთა კავშირების წარმომადგენელთაგან შემდგარი, რომლებიც უმთავრესათ ადგილობრივ წარმოების შეძენას და მის გასაღებას მოაწყობენ, სურსათის განაწილების საქმეშიც, რომელსაც აწარმოებს კოოპერაცია ადგილობრივი სასურსათო დაწესებულება ღებულობს მონაწილეობას, და თვალყურს ადევნებს მის წესიერათ შესრულებას.

შესაძლებელი იქნება სისწორით გატარდეს ცხოვრებაში აღნიშნული გეგმა თანამშრომლობისა თუ არა,—ყოველ შემთხვევაში ერთი უმთავრესი პრინციპის უდავო მიზან-შეწონილობა უნდა აღვიაროთ განმეორებით: კოოპერაციამ და ერობამ უნდა ითანამშრომლონ შეთანხმებულათ, ბრძოლა, ქიშპობა, უთანხმოება დასცემს ხალხის თვალში, როგორც ერობის, ისე კოოპერაციის ავტორიტეტს და შეაფერხებს საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას.

## გენ. ბრიგსის სამსახურიდან დათხოვა

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცეს, ინგლისის სამსახურში მყოფი გენერალი ბრიგსი, რომელიც გენ. დენიკინის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს მთავრობასთან, ინგლისის მთავრობას თანამდებობიდან გადაუყენებია და სრულებით სამსახურიდან დაუთხოვია.

## სხვა და სხვა.

კულტურის და შრომის კავშირის წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, ივნისის 15-ს, შუადღის 12 საათზე, თავმჯდომარის ბინაზე. განსახილველი საგნებია: 1) გაყიდულ დროშების ანგარიში, 2) კავშირის მომავალ სამოქმედო გეგმის შემუშავება, 3) მუდმივი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა, 4) მორიგი საკითხები. უკეთუ კრება დანიშნულს დროს არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამ შემთხვევაში ერთის საათის შემდეგ, ესე იგი დღის 1 საათზე გაიმართება მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა.

✦ რედაქციამ მიიღო თ. მთავრიშვილის ამხანაგობის გამოცემა: 1) ისტორიული მონოგრაფია—ნ. ჭეიშვილისა—„რუსეთის პოლიტიკა და იმერეთის მეფე სოლომონ მეორე“, ფასი 3 მან. 50 კაპ. 2) მოგონებანი გურიის ცხოვრებიდან—ტ. მამალაძისა: „სოფლის სურათები“. ფასი 3 მ. 50 კ.

✦ ცხინვალის მე 2 მომხმარებელ საზოგადოების „იმედის“ გამგეობისაგან მიიღო ჩვენმა რედაქციამ 500—მანეთი სომეხ ქართველთა ომის დროს დაჭრილ-დახოცილ ქართველ მეომართა სასარგებლოდ.

✦ სამხ. სამინისტროს მოუვიდა ქუთაისის ხაზინის მიერ შეგროვილი ერთი ათას ოთხას ხუთმეტი მან. 40 კაპ. (1415 მან. 40 კაპ.) ომში დაღუპულთა ოჯახების სასარგებლოდ. სამხედრო სამინისტრო უღრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

✦ გაიხსნა ყოფილ კაფე-რესტორან „კოროლიდო“-ში სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სასადილო, სადაც სადილობა შეუძლიათ სტუდენტებს საზოგადოდ, დამფუძნებელ კრების წევრებს და სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთ სტუდენტთა გამგეობის რეკომენდაციით.

## განცხადებანი

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილი 30, დამტკიცებულია 1919 წ. მარტის 29 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსანდრე ივანეს ძე ფაჩულიამ 100,000 მ. მიჰყიდა ავქსენტი ოტიას ძე ქვანიას მიწის სამი ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ ფოთში, საბაჟოს შესახვ. და ლივაშოვის ქ. კუთხეში, ზომით 1 ნაჭ. 18 ოთხკ. საჟ., 2 ნაჭერი $14^{32}/_{100}$ ოთხკ. საჟ და 3 ნაჭ. $71^{1}/_{2}$ ოთხკ. საჟ სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 4,000 მან. მთავარი ამონაწერი 5,000 მან ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. აპრილის 30. 958 1—1

სისხ. საქ. სამ. წარმ. მე 846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილ. ოლქის სასამარ. დადგენილებით ეძებენ იაკობ ალექსანდრეს ძე განჯელოვს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე 1646 მუხ. თანახმად. ნიშნები: შუათანაზე დაბალი, ჭორფლიანი. განსაკუთრებული ნიშნები არ აქვს. ყველა, ვინც იცის სად სცხოვრობს განჯელოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. 1030 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. მაისის 21, დამტკიცებულია იმავე წლის მარტის 26 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ელისაბედ კონსტანტინეს ასულმა კლდიაშვილმა 2,000 მან. მიჰყიდა თადეოზ ალექსის ძე ბეროძეს მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ქუთაისში, პოლიციის ქ., ზომით ასი ოთხკ. საჟენი. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია ასი მან., მთავარი ამონაწერი 12 მან. 50 კაპ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიღებულია 1919 წლ. მაისის 12. 958 1—1

ბაგრატ გრიგოლის ძე გაფრინდაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის სასულიერო სემინარიის მესამე კლასის მოწმობა მიცემული მაისში 1911 წ., რომელიც დღიდან განცხადებისა გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 756 3—1

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის ბილეთები №№ 77236, 79899, 80784, 170, 400 და 350 მან. ღირებულებისა. ზემო აღნიშნული ბილეთები გაუქმებულად ითვლება დღიდან განცხადებისა. 753 3—1

თამარა ივანეს ასული იუზბაშევა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ქუჩაზე პასპორტი, რომელიც მიღებული იყო მილიციის სამართველოდან 1918 წელს. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 752 3—1

ქუთაისის სამაზრო უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის მცხოვრების სოფელს ფარცხანაყანევში, ქუთაისის მაზრა, ოქროპირ მათეს ძის მიქაბერიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ექვსი თვის განმავლობაში, იმ ქონებაზე, რომელიც დარჩა ხსენებულ მიქაბერიძეს, თანახმად 1241 მუხ. მეათე ტომისა, სამოქალაქო დებულებისა. 951 1—1

სენაკის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სამუილ ისიდორეს ძე თურქიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება თურქიას ქონებაზე, სამოქალაქო კანონთა კრებულის მეათე ტომი პირველი ნაწილი 1241 მუხლით აღნიშნულ ვადაში. 956 1—1

სენაკის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ რაჟდენ, იგივე ზინო, ალექსის ძე ქაჩიბაიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ქაჩიბაიას ქონებაზე სამოქალაქო კანონთა კრებულის მეათე ტომი პირველი ნაწილი 1241 მუხლით აღნიშნულ ვადაში. 955 1—1

დავკარგე 10 ს ივნისს თავისუფლების მოედანზე უბის საფულე 253 მანეთით და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც მოცემული იყო სენაკის მაზრის სამხედრო უფროსისაგან, და სხვა საბუთებით. მნახველს ვსთხოვ ფული დაიტოვოს, ხოლო დოკუმენტები დამიბრუნოს მისამართით: სასტუმრო „ინტერ-ნაციონალი“ ლავრენტი ქემულარიას. 750 2—1

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეგისტრაციული განყოფილების დადგენილებისა 30 აპრილიდან ამა 1919 წ., შეტანილია კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში წესდება ქუთაისის მომრიგებელთა საზოგადოების „კოოპერაცია“-ს, დაარსებულის ქალაქ ქუთაისში. 943 1—1

კავკასიის სინოდალური კონტორა ამით აცხადებს, რომ 1917 წ. აგვისტოს 25-ს კონტორაში შეიტანა თხოვნა მიხელ პავლეს ძე ნადარეიშვილმა მის ცოლთან თეოდოსია ბასის ასულ თან განქორწინების შესახებ, აღნიშნული თეოდოსია ნადარეიშვილი მოწვეულია სინოდალურ კონტორაში დასარიგებლათ და მოწმების დაკითხვის დროს დასასწრებლათ.

თუ ამ განცხადების დაბეჭდვიდან ერთი ვთის ვადაში არ გამოცხადდა თ. ნადარეიშვილი, საქმის წარმოება გაგრძელდება. 848 1—1

კავკასიის სინოდალური კონტორა 1919 წ. მაისის 23-ს დადგენილების თანახმათ, ამით აცხადებს, რომ ივანე მიხეილის ძე პოპლოვსკი მოწვეულია სინოდალურ კონტორაში, ერთი თვის ვადაში განცხადების დაბეჭდვიდან, რათა ხელი მოაწეროს კონტორის გადაწყვეტილებას მის ცოლთან ლუბა ედუარდის ასულ პოპლოვსკისთან განქორწინების შესახებ. თუ ის არ გამოცხადდა აღნიშნულ ვადაზე, გადაწყვეტილება № 180 სისრულეში იქნება მოყვანილი. 847 1—1

სენაკის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ივლიანე პავლეს ძე კიზირიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება კიზირიას ქონებაზე სამოქალაქო კანონთა კრებულის მეათე ტომი პირველი ნაწილი 1241 მუხლით აღნიშნულ ვადაში. 954 1—1

ქალაქ ფოთის მომრიგებელი მოსამართლის 1919 წლის 21 მაისის დადგენილებით, ვექილობა, მიცემული ბაგრატი სტეფანეს ძე ხარბედიას მიერ ვასილი ეგნატეს ძე ხარებავაზე და შედგენილი ფოთის ნოტარიუსი ვესტვალსკისთან 1919 წ. 27 მარტს № 352, გაუქმებულია. 950 1—1

მეხეტი ზეინალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საქართველოდან აზერბეიჯანში მოცვის ჩაის გატანის ნებართვა, მიღებული სავაჭრო სამრეწველო სამინისტროს კანცელარიიდან, № 3594. ნებართვა გაუქმებულათ ითვლება დღიდან განცხადებისა. 753 3—1

კავკასიის სინოდალური კანტორა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილის 26-ს იქ შეიტანა თხოვნა აზგარ სტეფანეს ძე აკოპოვმა, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, ამაღლების ქ., № 6, ბინა 5, მის ცოლთან ალექსანდრა გაბრიელის ასულთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარდაწერილი არიან 1913 წლ. მაისის 6-ს. მთხოვნელის აკოპოვის განცხადებით ალექსანდრა გაბრიელის ასული აკოპოვა არა სჩანს 1913 წლიდან. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ა. აკოპოვა, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კონტორას ქალაქ ტფილისში, ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 696 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე 846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ეძებენ ნიკოლოზ მიხეილის ძე ქურდიანს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მესამე ნაწ. 1655 მუხ. თანახმად. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ქურდიანი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ სამეკუნო სამმართველოში. 1028 1—1

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნინო ალექსის ასულმა ფენდელისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი, ალექსანდრე ვასილის ძე ფენდელი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1914 წელს, უკვალოდ დაიკარგა 1917 წელს, რის გამო აღნიშნული ნინო ფენდელისა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ალექსანდრე ვასილის ძე ფენდელის მისამართი, ვალდებულია, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემო ხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 687 3—2

დუბლიკატი № 036517, რომლითაც გაგზავნილი იყო 1917 წ. ოქტომბრის 20, ტფილისიდან მოსკოვში, 133 ტომ. 512 ფ. 15 გირი, საქონელი, ნ. ფიტერის და ე. ვინკელის სახელზე, დაიკარგა. საქონელი გაგზავნილია საქონლის პატრონის ა. ტერ-აირეპეტიანის მიერ. დუბლიკატი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 738 3—3

ეფრემია ელიაზარის ძე ალელიშვილი აცხადებს, რომ დაჰკარგა პასპორტი მთელი ოჯახის, მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან 1918 წელს. პასპორტი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს დღიდან განცხადებისა. 749 3—2

20 მაისს ოთახის გამქურდველმა ბოროტგამზრახველებმა წაიღეს აგრეთვე ტფილისის პოლიტეხნიკუმის მიერ მოცემული ჩემი პიროვნების მოწმობა, რომელსაც გთხოვთ გაბათილებულათ ჩათვალოთ. სტ. თ. ნაცვლიშვილი, სასტუმრო „კავკაზი“. 746 3—2

დავკარგე სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მეტრიკული № 75. მნახველს ვსთხოვ დამიბრუნოს. 26 მაისის ქუჩ., № 15 ნინო დიასამიძე. 736 3—3

საჭიროა ძველი

## კოპიროვალნი

წიგნები. მისამართი: ველიამინოვის ქ. № 35. მეერავე ნახაპეტოვი 744 2—2